



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 150/ს
04/04/2023

150-21-4-202304041435



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სუფსაში სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სუფსაში საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

1997 წლის 2 ივნისს საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოსდაცვითი ნებართვა №0001. აღნიშნულის საფუძველზე, 2021 წლის 24 მაისს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-735).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის მიერ ხორციელდება ნედლი ნავთობის ექსპორტი კასპიის ზღვიდან, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, სახმელეთო მილსადენის მეშვეობით, სუფსის ტერმინალამდე (GPS კოორდინატები: X-729114.31, Y-4656191.96), სადაც ხდება ნედლი ნავთობის შენახვა და ექსპორტისათვის გადატუმბვა ტანკერებში ჩასატვირთად, მსოფლიო ბაზრებზე შემდგომი მიწოდებისათვის. ნედლი ნავთობი სუფსის ტერმინალის საცავებიდან ოფშორული ჩასატვირთი მოწყობილობის მეშვეობით მიედინება საზღვაო ტანკერებში შემდგომი ჩატვირთვის მიზნით, საიდანაც საექსპორტო ტანკერები იტვირთება 36 დიუმიანი დიამეტრის წყალქვეშა მილსადენისა და ერთწერტილოვანი ნავმისადგომის საშუალებით. ოფშორული ჩასატვირთი მოწყობილობა შედგება შემდეგი ელემენტებისგან: სახმელეთო მილსადენი; ხმელეთზე გასასვლელი; საზღვაო მილსადენი და SPM ჩატვირთვის ობიექტი (ტივტივა-პლატფორმა, საიდანაც ხდება გემების დატვირთვა

ნედლი ნავთობით). SPM ჩატვირთვის ობიექტი მიმაგრებულია ზღვის ფსკერზე 6 თანაბრად დაშორებული სამაგრი ტროსის საშუალებით, რომელიც შედგება ჯაჭვებისაგან (სიგრძე 400 მ, დიამეტრი 84 მმ) და მცურავი ღუზებისგან (Stevpris MK5 - თითოეული 70 ტონა). ჩატვირთვის ობიექტი განთავსებულია შავი ზღვის სანაპიროდან დაახლოებით 3 კმ მანძილზე, 50 მ სიღრმეზე და გათვალისწინებულია 80 000-დან 120 000 ტონამდე ტვირთამწეობის ტანკერების მისაღებად. SPM-ის GPS კოორდინატებია: X-724461.26; Y-4655508.72, ხოლო, სამაგრი სისტემის GPS კოორდინატებია: ღუზა №1 X-724673.78, Y-4655863.25; ღუზა №2 X-724874.49, Y-4655501.69; ღუზა №3 X-724661.97, Y-4655147.16; ღუზა №4 X-724248.75, Y-4655154.19; ღუზა №5 X-724048.04, Y-4655515.75; ღუზა №6 X-724260.55, Y-4655870.28; ბაკენი X-724461.26, Y-4655508.72.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული SPM-ის სამაგრი სისტემის მოხსნის ნაცვლად, მისი სამუდამოდ ადგილზე მიტოვება. SPM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვების სამუშაოებში გამოყენებული იქნება გემი (Island Valiant), ღუზების ბუქსირი (AHT) და დისტანციური მართვის სატრანსპორტო საშუალება WROV (ტიპი vectored magnum "+"). სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 კვირას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ღუზების ბუქსირის (AHT) საშუალებით მოხდება არსებული ექვსი სამაგრი ტროსის და ღუზების ზღვის ფსკერზე ჩაშვება, რომლებიც განთავსდება არსებული SPM-ის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილ თხრილებში (სიღრმე დაახლოებით 7–8 მეტრია, ხოლო სიგრძე – 200 მეტრი). დროთა განმავლობაში, აღნიშნული თხრილები ბუნებრივად ამოივსება და მასში განთავსებული ინფრასტრუქტურა დაიმარხება. ვინაიდან, სამუშაოების დროს არ არის გათვალისწინებული აღჭურვილობის ამოთხრა, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ზღვის ფსკერის ბურღვის სამუშაოების განხორციელება არ არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ ადგილზე მიტოვებული აღჭურვილობა განთავსებული იქნება SPM-ის მუდმივი აკრძალვის ზონაში (500 მ) და ჩაიფლოება ზღვის ფსკერში, რაც გამორიცხავს ზღვის სხვა მომხმარებლებისათვის ხელშეშლას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, SPM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვების სამუშაოების წარმოების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა მოხდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, SPM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვების სამუშაოებში გამოყენებული გემი აღჭურვილია ჩამდინარე წყლების შემკრები ავზებით, მილსადენებით და კოლექტორებით. ვინაიდან, სამუშაოები ჩატარდება ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მოცულობები იქნება მცირე, რომლის მართვა განხორციელდება შესაბამისი სტანდარტების დაცვით, შესაბამისად წყლის გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, SPM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვების სამუშაოების წარმოების დროს გემის ძრავის და გენერატორების ოპერირებისას ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების (CO₂, CH₄, NO_x, SO₂ და NMVOC) წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ვინაიდან PM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვების სამუშაოები განხორციელდება ზღვაში, ნაპირიდან დაახლოებით 3 კმ მანძილზე, ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილისა, სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკების გაზრდას. ავარიული სიტუაციების მართვა განხორციელდება კომპანიის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის პროცესში ზღვის წყლის ხარისხზე, ზღვის ფსკერის დანალექებსა და ზღვის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ვინაიდან, SPM-ის სამაგრი სისტემა (ლუზები და ჯაჭვები) დამზადებულია ფოლადისგან, რომელიც ზღვის გარემოში განიცდის კოროზიას, მოსალოდნელია, რომ გამოათავისუფლებს ლითონებს წყლის სვეტსა და ზღვის ფსკერზე. კოროზიის ინტენსიურობა დამოკიდებულია ზღვის წყალში არსებულ პირობებზე, წყალში ჟანგბადის ხელმისაწვდომობის ჩათვლით. რამდენადაც ჟანგბადის შემცველობის დონეები უფრო მაღალია წყლის ზედაპირთან, მოსალოდნელია, რომ ზღვის ფსკერზე კოროზიის ტემპები იქნება უფრო დაბალი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ზღვაში 1999 წლიდან არსებული აღჭურვილობის კოროზიას არ გამოუწვევია ზღვის წყლის ხარისხის შესამჩნევი გაუარესება, რაც დასტურდება 2017 წელს ზღვის ფსკერის ქვემოდან ამოღებული ჯაჭვის სექციით, რომელსაც კოროზიის მხოლოდ მცირე ნიშნები აღენიშნებოდა. ამასთან, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) გაიდლაინების მიხედვით, ისეთი კომპონენტები, როგორცაა ფოლადი და ბეტონი, მათი მახასიათებლებისა და დაბალი დეგრადაციის ტემპის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს ზღვის დაბინძურების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, SPM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვების სამუშაოების დროს, ადგილი ექნება ზღვის ფსკერზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების შეშფოთებას და ადგილმონაცვლეობას, რასაც ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, ვინაიდან SPM-ის სამაგრი სისტემა განთავსებულია წყალქვეშ, ხანგრძლივი პერიოდით, რაც მაღალი ალბათობით გამოიწვევდა ბიოტოპის შექმნას და მთელი რიგი ზღვის სახეობებისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატის ჩამოყალიბებას, SPM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უფრო მცირე მასშტაბის, ვიდრე სამაგრი სისტემის ამოღება, რაც გამოიწვევს არსებული ეკოსისტემის სრულ ან ნაწილობრივ განადგურებას. გამომდინარე იქიდან, რომ SPM-ის სამაგრი სისტემის ადგილზე მიტოვების სამუშაოები იქნება ოფშორული მდებარეობის, მცირე მასშტაბისა და გაგრძელდება ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, გარემოს დაბინძურებისა და შეშფოთების თვალსაზრისით ნეგატიური ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, სპეციფიკის, მასშტაბისა და საპროექტო გადაწყვეტის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სუფსაში სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 24 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით;
3. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შემდგომ უზრუნველყოს ზღვის წყალში მიტოვებული სამაგრი სისტემის კოროზიით ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების 5 წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოსთან შეთანხმებით უზრუნველყოს დამატებითი ღონისძიებების (მათ შორის ტივტივას სამაგრი სისტემის ზღვიდან ამოღება) განხორციელება;
4. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 24 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო